ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო თავდაცვის პოლიტიკა წყნარი ოკეანის აუზში და კონკურენცია ჩინეთთან

კახაბერ მაძღარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზარინა ბურკაძე

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

კახაბერ მაძღარაშვილი

18/01/2024

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო თავდაცვის პოლიტიკის წინაშე არსებული გამოწვევების და უსაფრთხოების დილემის კვლევა ჩინეთის სამხედრო-ეკონომიკური აღზევების ფონზე წყნარი ოკეანის რეგიონში. კვლევაში ერთ მხრივ ასახული არის ამერიკის მიერ ახლო წარსულში გატარებული პოლიტიკა და ამერიკა-ჩინეთს შორის არსებული რეგიონულ თანამშრომლობა, თუ არსებული გლობალური კონკურენცია, სადაც განხილულია აშშ-ს სტრატეგიული ალიანსი წყნარი ოკეანის აუზში ტაივანის, სამხრეთ კორეის და იაპონიის სახელმწიფოებთან ჩინეთის შეკავების დიდ სტრატეგიულ პრიზმაში, ასევე აღმოსავლეთ ჩინეთის და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მიმდინარე კრიზისები და გამოწვევები, ხოლო მეორე მხრივ წარმოდგენილია დეტალური ანალიზი ჩინეთის დაჩქარებული სამხედრო-საზღვაო აღმშენებლობის, მისი სამხედრო და ეკონომიკური რეფორმების ანალიზი. კვლევა ასევე მოიცავს აშშ-ს თანამშრომლობას ფილიპინებთან, ავსტრალიასა და ოკეანეთის კუნძულოვან ქვეყნებთან ,,უსაფრთხოების სამი ჯაჭვის" ფარგლებში ჩინური სამხედრო, თუ ეკონომიკური ექსპანსიის გასანეიტრალებლად.

ჩემს მიერ არჩეულ საკვლევ თემას, რომ ჰქონოდა ლოგიკური შედეგი, აღნიშნული კვლევის რელევანტურობის წარმოსაჩენად შერჩეული მაქვს კვლევის შემდეგი ინსტრუმენტები: 1. შემთხვევის შესწავლა (Case Study); 2. სამაგიდო კვლევის ტექნიკა (Desk Research); 3. ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან. აღნიშნული საკვლევი ინსტრიმენტების გამოყენების შედეგად, საკითხის ემპირიულ საფუძველზე კვლევის ორივე ჰიპოთეზა დადასტურდა

ვფიქრობ ჩემი კვლევითი ნაშრომის მნიშვნელობა მისი შედეგების აქტუალობის თვალსაზრისით მკითხველის ყურადღებას იმსახურებს, რადგან ერთი მხრივ საკვლევი ნაშრომი ახსნა-განმარტებითი ფუნქციის ლოგიკური მატარებელია, იგი ნათლად წარმოაჩენს კრიზისებს ტაივანის მაგალითზე, თუ სხვა გამოწვევებს წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის მხრიდან და მისი შესაძლო გადაჭრის გზებს აჩვენებს მკითხველს, რომლის გაცნობის შემდეგ შესაძლებელი ხდება კვლევითი ნაშრომის, თუ მასთან

კავშირში მყოფი მოვლენების ძირეული გამოკვლევა და ნაშრომის განვრცობა, თუ განვითარება. მეორე მხრივ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ანგარიშში შემოთავაზებული მაქვს ჩინეთის აღზევება და მისი მხრიდან გამოვლენილი რევიზიონისტული პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: რევიზიონისტული პოლიტიკა, გლობალური კონკურენცია, დიდი სტრატეგია, სტრატეგიული ალიანსი, სამხედრო ექსპანსია, ეკონომიკური ექსპანსია.

Abstract

The aim of the presented master's thesis is to research challenges and dilemma facing the Unuted States of America foreign defence policy against the backdrop of China's rise as military and economic power in the Pacific Region. On the one hand, the research reflects the policy pursued by the U.S. in the recent past and the existing regional cooperation between the United States and China, or the existing global competition, discussing strategic alliance of the United States in the Pacific Ocean with Taiwan, South Korea and Japan within the frames of China's containment. The thesis also discusses current crises and challenges in the East China and South China Seas, while on the other hand a detailed analysis of China's accelerated military-naval construction, its military and economic reforms is presented. The study also includes United States cooperation with the Philippines, Australia and Oceanic Island nations to neutralize Chinese military or economic expansion.

In order achieve logical results, I have selected the following research tools to demonstrate the relevance of the above-mentioned research: 1. Case study; 2; Desk research; 3. In-depth interviews with experts. As a result of using these research instruments, both research hypotheses were confirmed on the empirical basis of the issue.

Considering the following research paper's importance, in terms of the relevance of its result, it deserves the reader's attention, because on the one hand, the research paper logically carries the explanatory function, it clearly presents the crises on the example of Taiwan or other challenges in the Pacific region from the side of China and shows the possible solutions for the reader, after getting to know these facts, it becomes possible to conducta basic investigation of the research work, or the events connected with is, and the extension or development of the work. On the other hand, in the final repot of the master's thesis, I have discussed the rise of china and its revisionist policy against the background of the current Russia-Ukraine war.

Keywords: Revisionist policy, Global competition, Grand strategy, Strategic alliance, Military expansion, Economic expansion.

მადლობა

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და კონკრეტულად პოლიტიკის/საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შესაძლებლობის და ნაყოფიერი ორწლიანი თანამშრომლობისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს - ზარინა ბურკაძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია ნაშრომის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში.